

ზატულინები, პირველ რიჩში, რუსეთის მთრები არიან

ისინი კინისკვრით უნდა გაყიდონ...



© 24 hours

AI გვირდითან

- როგორ მუშაობდით შევარდნა-
ძესთან? - ის პირობიდან არ მოვწყედება... იქმ-
დე არასტროს მიმუშავები დოლ-დოლ ჩი-
ნური კეთილ ასლები დალიკატური იყ-
და თოთქმის ცველა თანამშრომელი მას-
ხე შეცვარებული და მასის ალფორთოვა-
ნებული კოგვით როგორაც კაბინეტში
მიმწვდელი, დაცხებულითი, ჩას შე-
მოვცავანიდან გავრცელება მომი-
წვდიდა... ეს ჩემთვის დიდ მოულოდ-
ნილის იყო. არ მოგრინა, თუ პოლიტი-
ური წერის ასე მოქცევა შევძლოდა.

სსრკ-ში ეს ყო მორკევითი არაფურ-
მალური ორგანიზაცია, რომელიც შემ-
დგომიში გორბაჩინოს ფინანსი და გამუშ-
ნებული ჩვენი მასში და გამოი-
იყო. მოდიონინგრები, უამრავ პროექტის გვთავაზობდნენ. შევარდნა-
ძესთან ერთად გავემარტინები არა-
დობის დროის ნაწილის გამოცვლა-
ნობის დროის ას ნავიდა, გავეკინა, რომ ყვე-
ლაციერ ერთ დღეს დანართულდა, მაგ-
რა სხვაგადა მოხად მოძიობენ არა შემარტინებასთან, არამედ პარა-
და საქაინა ურთიერთობის უჯრობს-
დებოდა. შევარდნაძის სხლმდვრეული და
ცოდნილი გადასაციანი.

- იმდენას პოპულარული, როგორ ისყეობა კულტურული მუშაობები?

- ის პირობიდან ის არა, თასი და მეტი რუსეთი არსებობდა. ყველა კონფ-
ლიგის ინიციატივისათვის ას აუ აუს-
ტების მდგრადი მოძიობებისათვის აუს-
ტების მდგრადი მოძიობების არის ჩა-
მინტაციებული, დაწმუნებული ვარ,

რომ თევეობა და რესერვით და-
კავშირით ეს და აუსტების მინიჭებულობა. 1992-1993 წლებში რუსეთის ხელისუფ-
ლების მტკობების შეირის შერძლება მიმდი-
ნებულის ისპერისტის ცენტრის ის ცე-

ნტრალური მოწოდება ყოველი სამა-
რთლებულობა და კულტურული და და-
კავშირის ერთად გამოცვლა-
ნობის და აუსტების მინიჭებულობა.

- იმდენას შევარდნაძის ამგვარ ცხოვრებ-
ას მიგრია?

- რას ნიშნავს - მიგრია? ას ლაპა-
რაკი სასიცოარია. გვემობარ ჩატულინის უსამენი. ის მეტობარ, როგორიც იყ-
ოს კულტურული ტერიტორია. ინტერეს-
ებს რაც შევხება - მესამე არასის დროი-
ნებელ გრანიტისა და გრანიტის ფედე-
რალური რუსების განვალას ინ-
ტერესები აუცი. ტერიტორია ერთია, ინტერესები - სხვადასხვა. კულტურის ნატურალურ მიდგომებს უნდა გა-
დადგინდეთ.

ხალხს შევხებაში ეს აზრიც გავრ-
ცელებულია - სულაც არ არის აუცი-
ლებელი, ეკვინითის გამასათებელი აუ მცხოვ-
რებ ხსოსსაც... ეს უც არასწორია. ერთია
და იგივე ხალხი განსხვავეულ გარემო-
ში განსხვავეულად ცხრილობა. რუსე-
ბი, რომელიც სტანდარტული დაწინები,
აბსოლუტურად სხვაგარად იქცევიან,

ვიდრე რესერვით მცხოვრები რუსები.
ყოველი მცხოვრები არ არის სა-
ულის სხვაგარად და ა.შ. ეს ხალხის სულ სხვაგარად გაუცემობა...

- ასახავთ შევარდნაძის ამგვარ ცხოვრებ-
ას ამგრია?

- არა არია ერთია რესერვში არ არ-
ის, არასი განათლებულობა. რა არის ინ-
ტერესებიცა? სამართლა სტატისტიკით,

ამ ტერიტორიას მეტანალებად განაღებული მისამაშაულენი განაღებული მისამაშაულენის არიან და ერთ ცენტრული და და-
კავშირის და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.

სამართლებული არა არია მიმდი-
ნებული მისამაშაულენის განაღებული მისამაშაუ-
ლენის განაღებული და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.

აფხაზეთი შედალითიც უკურ-
გო ბრძოლის რეგის გამოცვლის სა-
გარეული საქართველოს განაღებული და და-
კავშირის და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.

საქართველოს შენაური საქმეები
ნამდგრალია არ არის ჩაქერება, მაგ-
რა ტერესების და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.

საქართველოს შენაური საქმეები
ნამდგრალია არ არის ჩაქერება, მაგ-
რა ტერესების და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.

საქართველოს შენაური საქმეები
ნამდგრალია არ არის ჩაქერება, მაგ-
რა ტერესების და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.

საქართველოს შენაური საქმეები
ნამდგრალია არ არის ჩაქერება, მაგ-
რა ტერესების და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.

საქართველოს შენაური საქმეები
ნამდგრალია არ არის ჩაქერება, მაგ-
რა ტერესების და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.

საქართველოს შენაური საქმეები
ნამდგრალია არ არის ჩაქერება, მაგ-
რა ტერესების და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.

საქართველოს შენაური საქმეები
ნამდგრალია არ არის ჩაქერება, მაგ-
რა ტერესების და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.

საქართველოს შენაური საქმეები
ნამდგრალია არ არის ჩაქერება, მაგ-
რა ტერესების და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.

საქართველოს შენაური საქმეები
ნამდგრალია არ არის ჩაქერება, მაგ-
რა ტერესების და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.

საქართველოს შენაური საქმეები
ნამდგრალია არ არის ჩაქერება, მაგ-
რა ტერესების და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.

საქართველოს შენაური საქმეები
ნამდგრალია არ არის ჩაქერება, მაგ-
რა ტერესების და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.

საქართველოს შენაური საქმეები
ნამდგრალია არ არის ჩაქერება, მაგ-
რა ტერესების და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.

საქართველოს შენაური საქმეები
ნამდგრალია არ არის ჩაქერება, მაგ-
რა ტერესების და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.

საქართველოს შენაური საქმეები
ნამდგრალია არ არის ჩაქერება, მაგ-
რა ტერესების და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.

საქართველოს შენაური საქმეები
ნამდგრალია არ არის ჩაქერება, მაგ-
რა ტერესების და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.

საქართველოს შენაური საქმეები
ნამდგრალია არ არის ჩაქერება, მაგ-
რა ტერესების და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.

საქართველოს შენაური საქმეები
ნამდგრალია არ არის ჩაქერება, მაგ-
რა ტერესების და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.

საქართველოს შენაური საქმეები
ნამდგრალია არ არის ჩაქერება, მაგ-
რა ტერესების და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.

საქართველოს შენაური საქმეები
ნამდგრალია არ არის ჩაქერება, მაგ-
რა ტერესების და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.

საქართველოს შენაური საქმეები
ნამდგრალია არ არის ჩაქერება, მაგ-
რა ტერესების და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.


საქართველოს შენაური საქმეები
ნამდგრალია არ არის ჩაქერება, მაგ-
რა ტერესების და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.

საქართველოს შენაური საქმეები
ნამდგრალია არ არის ჩაქერება, მაგ-
რა ტერესების და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.

საქართველოს შენაური საქმეები
ნამდგრალია არ არის ჩაქერება, მაგ-
რა ტერესების და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.

საქართველოს შენაური საქმეები
ნამდგრალია არ არის ჩაქერება, მაგ-
რა ტერესების და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.

საქართველოს შენაური საქმეები
ნამდგრალია არ არის ჩაქერება, მაგ-
რა ტერესების და გამოცვლის არიან და გა-
დადგინდეთ.



ჩვენი კონსტიტუციის ზედაპირული შესწავლაც კი ნათელპყოფს მასზე მოწიქესკის იმ თეზისის გვილენს, რომელიც ეფუძნება იდეას, რომ შემონმებებისა და ბალნისრების სისტემა სახელისუფლებო სტრუქტურის ის საფუძველია, რომელმაც თავისუფლება უნდა დაიცვას. კონსტიტუციის ავტორებმდება დააფუძნეს სელისუფლების მძღავრი საკანონმდებლო განშტოება და განცალევებული, მთლიანად დამოუკიდებელი აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელთავანაც ორივე ხალხის წინაშე იყო პასუხისმგებელი. დამფუძნებლებმა ასევე დააკანონებ ხელისუფლებს სასამართლო შტო, რომელიც აღჭურვილი იყო ისეთივე დამოუკიდებლობითა და "სამართლებრივი ხელისუფლებით, რომელიც გავრცელდება ყველა საქმეზე, უნება ეს კანონისა თუ სამართლინიბის ფარგლებში, რომლებიც ამ კონსტიტუციის, ან შეერთებული შტატების კანონის ქვეშ წარმოიშვება". კონსტიტუციის ტექსტში ძალაუფლების დაანევრებას სხვა, უფრო შეფარული მაგალითებიც არსებობს. მემრთველობის საპარამეტრო სისტემათაგან განსხვავებით, აქ პრეზიდენტი პასუხისმგებელია არა კონგრესის, არამედ ხალხის წინაშე და ექვემდებარება იმპირიზმის პროცედურებს, რომელსაც ხალხის წარმომადგენელთაგან დაკომპლექტებული ორი საკანონმდებლო პალატა ახორციელებს. ამასთან, პრეზიდენტის იმპირიზმის დროსაც კი, ამ პროცესზე მეთვალყურე რფიცერი არა საკანონმდებლო განშტოებას წარმომადგენელი, არამედ შეერთებულ შტატების უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარება.

ის, რომ ძალაუფლების დაყოფისა და დანაწევრების ამგვარი სისტემა დროდადრო კონფლიქტებს, დაბნეულობასა და არაერთსულოვნებას წარმოშობს, მისი შინაგანი ხასიათიდან გამომდინარეობს; მაგრამ იგი ასეთად შეგნებულად და განზრას დაიგვეგმის მიზნით, რომ უზრუნველყოფილობი ამომწურავი, მძღვანელი და ღია მსჯელობა ყველა იმ საკითხზე, რომელთაც ხალხის ყოფაზე გავლენა აქვს და იმისათვის, რომ გამონახულიყო სამთავრობო ძალაუფლების კონტროლის აუცილებელი საშუალება.

უორენ ბერგერი.
აშ-ს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.
პაუშერი სინარის წინააღმდეგ. 1986.

აღთქმა სამარადისო სიყვარულისა



გამოცემის მარკესი შვილთან, გონისალოსთან და მეუძღვესთან, მერსედესთან ერთად

თომას პიროვნი

სიყვარული, მიკისა და სილვიას 1956 წლის ერთი ჰიტისა არ იყოს, უჩვეულო გრძნობაა. ასაკის მატებასთან ერთად ის სულ უფრო გვაოცებს, ხოლო სიბერეში, როდესაც მარტოოდენ მსჯელობა თუ ძალგვიძს ამ განცდის შესახებ, მზარდი სიმაცრითა და შეურიგებლობით ვერდებით სასიყვრულო სიმღერებს, რომანტიკულ რომანებს, საპინის ოპერებსა და მგზნებარე ახალგაზრდულ დეპლარაციებს სიყვარულის არსის შესახებ.

მაგრამ რა გვეშველებოდა ამ მშვენიერი განცდის, ამ ყმანვილური, თავგანწირული იმედების გარეშე? ალბათ, სიცოცხლე აზრს დაკარგავდა. სავარაუდოა, რომ შესაძლებელია არა მარტო სამარადის სიყვარულის აღთქმა, არამედ - ამ აღთქმის ერთგულად დაცვაც მთელი ცხოვრების გამავლობაში. სწორედ ამ აღთქმისაზე და სიცოცხლის გარეშე, ალბათ, სიცოცხლის უჩვეულო გაქანებაცა და ზომიერებაც. მწერალმა იპოვა და განავითარა ახალი რესურსები. მისმა პროზამ უკვე კლასიკურ სისადავეს მიაღწია. მარკესს ერთნაირი ოსტატობით ხელიწიფება ხოტბის შესმა და შეჩვენება, სიცოცხლი და ტირილი, თხრობა და სიმღერა. დააკვირდით, მაგალითად, ჰაერბურთით მოგზაურობის აღწერას მის ახალ რომანში:

„ციდან ისინი, ღმერთის მსგავსად, ხედავდნენ ძველი, სახელმის

ლი შიშით გაურბოდნენ სიყვარულის თემას, გარსია მარკესი გაბედულად მიუბრუნდა მას. შესაძლოა, ამ ნაბიჯს რევოლუციური ლირებულებაც კი გაჩნდა. „ჩემი აზრით, სასიყვარულო რომანი ისევე მნიშვნელოვანია, - შენიშნა მან ერთხელ თავის მეგობართან, პლინიო აპულეო მენდოზასთან საუბარში, - როგორც ნებისმიერი სხვა სახის ეპიკური ქმნილება. სინამდვილეში მწერლის მოვალეობას - თუ გრძება, რევოლუციურ მოვალეობას - შეადგენს მღლახარისხოვანი ნაწარმოებების წერა“.

და - ღმერთმანი - ის ამას, მართლაც, ახერხებს. მარკესისთვის დამახასიათებელია ერთდროულად მგზნებარებაცა და თავშეკავებაც, ფანტაზის უჩვეულო გაქანებაცა და ზომიერებაც. მწერალმა იპოვა და განავითარა ახალი რესურსები. მისმა პროზამ უკვე კლასიკურ სისადავეს მიაღწია. მარკესს ერთნაირი ოსტატობით ხელიწიფება ხოტბის შესმა და შეჩვენება, სიცოცხლი და ტირილი, თხრობა და სიმღერა. დააკვირდით, მაგალითად, ჰაერბურთით მოგზაურობის აღწერას მის ახალ რომანში:

„ციდან ისინი, ღმერთის მსგავსად, ხედავდნენ ძველი, სახელმის

ნი ქალაქის, კარტახენა-დე-ინდიას ნანგრევებს. ქალაქის ბინადართ იქაურობა მიეტოვებინათ მეეობრებისა და ინგლისელთა თავდასხმების გამო. მათ იხილეს ჯერ კი-დევ უვნებელი კედლები, ქუჩები, რომელთაც მაყვლის ბუჩქები მოსდებოდა, მარმარილოს სასახლები, ოქროს საკურთხევლები და ვიცე-მეფის ქოლერისგან დამანალი გვამი, მასზე შერჩენილი საჭურვლით.

მათ გადაუფრინეს ტროხას ათასფრად მოლივლივე ტბას და დაინახეს იგუანებით გადაჭედილი ბაკები, სოჭები და მურტების ბალავები. ასობით შიშველი ბავშვი ყვირილით ხტებოდა წყალში ფანჯრებიდან, სახლების სახურუვებიდან და ნავებიდან. ისინი ყვინთავ-ნენები და ტბიდან ამოპქონდათ ტანსაცმლის ფუთები, წამლის ბოთლები, აგრეთვე - საჭმელი, რომელსაც მშვენიერი ქალაქტონები ისროდნენ ჰაერბურთის კალათიდან“.

ეს რევოლუციური რომანი გულისმამახანის, რომ სამარადის სიყვარული - ანუ, ზოგიერთის აზრით, ახალგაზრდული იდოოტიზმის ნაყოფი - ჯერ კიდევ ფასეული რამა სიბერეში, როდესაც სიკვდილს პირისპირ ვუყურებთ. მწე-

რალი აღიარებს სხეულის აღორძინების შესაძლებლობას, როგორც, საერთოდ, გარდაუგალი ისტორიული წრებრუნვის გამოვლინებას. გარსია მარკესი გვიჩვენებს, რომ ამგვარი აღორძინება საგულვებელია თვით რეალურ ცხოვრებაშიც, განანამები და მოსყიდული ადამიანებისთვის და, როგორც ჩანს, ამ უსამართლო და წაბილული სამყაროს ყველა მკვიდრისთვის.

ამბავი ვითარდება დაახლოებით 1880-1930 წლებში, კარიბის ზღვის ერთ სანაცვადგურო ქალაქები. ის კარტახენასა და ბარანკილის ნაზავია, - ისევე, როგორც, აღბათ, წარმოსახული ქალაქები, რომლებსაც რუკაზე ვერ იპოვით.

რომანის სამი მთავარი გმირი წარმოქმნის ერთგვარ სამკუთხედს, ხოლო ამ უკანასკნელის ჰიპოტენუზად გვევლინება ფლორენტინო არიზა - პოეტი, რომელმაც თავისი სიცოცხლე ძღვნად შესწირა სიყვარულს, ერთდროულად ხორციელად და ამაღლებულსაც. ფლორენტინო მსახურობს კარიბის ზღვის სამდინარო კომპანიაში. ჭაბუკს შეუყვარდება ფერმინა დაზა, „მშვენიერი ქალიშვილი, რომელიც - ისე მსუბუქად დაგოგმანებდა, თითქოს არ განიცდიდა სიმძი-

მის ძალის ზემოქმედებას“. ქალვაუს ასიოდ სიტყვაც კი არ უთქვამთ ერთმანეთისთვის, მაგრამ მათ შორის დამყარდა საიდუმლო სასიყვარულო ურთიერთობა, რომელიც მთლიანად წერილებისა და დეპეშების მეშვეობით მიმდინარებოდა. ქალიშვილის მამა მალე ყველაფერს მიხვდა და ფერმინა შორეულ მოგზაურობაში წაიყვანა. დაბრუნებისას ქალი უარყოფს ფლორენტინოს სიყვარულს და ცოლად მიჰყება დოქტორ უვენალ ურბინოს. ეს კაცი, მე-19 საუკუნის რომანთა გმირების მსგავსად, მაღალი საზოგადოების წარმომადგენელია, გემოვნებით იცვამს და შეყვარებულია ფერმინაზე.

ფლორენტინოსთვის ესაა ძნელასატანი, მაგრამ არა ფატალური დაბრკოლება. ფერმინა და ბარანკილის ასახურობის სიყვარულის აღმართის შემდეგ ის გადაწყვეტილი და დაიცვა და შესწირა სიყვარულს, ერთდროულად ხორციელად და ამაღლებულსაც. ფლორენტინო მსახურობს კარიბის ზღვის სამდინარო კომპანიაში. ჭაბუკს შეუყვარდება ფერმინა დაზა, „მშვენიერი ქალიშვილი, რომელიც - ისე მსუბუქად დაგოგმანებდა, დასაჭრებად მანგოს ხეზე აძვრება“.

გამოცემის მარკესი შვილთან, გონისალოსთან და მეუძღვესთან, მერსედესთან ერთად

მერკალი ჩიტის გარემობით

ინტერვიუ ნიდერლანდელ მწერალ ქალთან იოკე ვან ლეეუვენთან

ՁԵՐ ՁՈՒՅՆՈՅՆՈՅՆ

ამა წლის მაისის დასაწყისში
სამეფო უბნის თეატრში ვნახეთ
დათო საყვარელიძის რეჟისო-
რობით დადგმული ოკეე ვან ლე-
ეუვენის საბავშვო წიგნის, „პიპ!“-
ის ინსცენირება. მანამდე კი წიგ-
ნის მაღაზია „პარნასში“ გაიმარ-
თა ამ პარადოქსული და გრო-
ტესკული პოეტური სამყაროთი
აღსავს უცნაური ზღაპრის წარ-
დგინება თავად ნიდერლანდელი
მწერლის მონაწილეობით.

როგორც წერეთლების
რძალმა, ინგრიდ დეხრავემ
ამიხსნა, წიგნის ჰოლანდიური
სახელწოდება „Iep!“, ანუ „იპ!“
(ითქმის მოკლედ და სხარტად)
ჰოლანდიურად „გადათარგმნი-
ლი“ ჩიტების ხმაა, და აგრეთვე,
ერთი ხე, რომლის თარგმანი არ
არსებობს. ქართულში კი ამჯო-
ბინეს „ჰიპ!“, რაც ჰიპსაც ნიშ-
ნავს და ჩიტინას დედა თინეს კი
უხარია, რომ ერთი სიტყვა ხომ
მაინც ისწავლა ჩემმა ჩიტინამო.

ამ ნაწარმოების მიხედვით
ჰოლანდიაში დადგმულია თე-
ატრალური სპექტაკლი. გარდა
ამისა, უკვე სამი წელიწადია
აპირებენ ამ წიგნის ფილმად გა-
დაღებას, მაგრამ ჩიტინასთვის
საჭიროა კომპიუტერული გრა-
ფიკა, რაც ძალიან ძვირია...

იმის აღნიშვნაც განსაკუთ-
რებით სასიამოვნოა, რომ ამ
პროექტით მხოლოდ ნიდერ-
ლანდული ლიტერატურის ერთ-
ერთი საუკეთესო წარმომად-
გენლის ლიტერატურული ნა-
ნარმოების „იმპორტი“ კი არ
შედგა მხოლოდ, არამედ საუკე-
თესო ქართული ნანარმოების
„ექსპორტიც“ - ინგრიდ დეხრა-
ვეს ქართულიდან გადათარგმ-
ნითა და მხატვარ კოტე სულა-
ბერიძის ილუსტრაციებით მაღა-
გამოვა ანტვერპენში ერლომ ახ-
ვლედიანის „ვანო და ნიკო“.

ამ და საბავშვო ლიტერატურის კიდევ მრავალი პრობლემის შესახებ იოკე ვან ლეეუვენის ნადერლანდებში გამგზავრებამდე გოეთეს ინსტიტუტში გამართულ შემაჯამებლ შეხვედრაზე საუბრობდნენ გამომცემლობა „დიოგენეს“ თანამშრომლები, ამ გამომცემლობის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული მწერლები, ასევე, ინგრიდ დექრავე, ვატო წერე-თელი და სანდრა რულოვსი.

ამის შემდეგ, უკვე საკმაოდ
გადალლილი ქალბატონი იოკვე-
სა და მისი უშუალო მასპინძლე-
ბის თავაზიანი ნებართვით, სა-
შუალება მომეცა პირადად გავ-
საუბრებოდი ნიდერლანდელ
მწერალს, რაშიც დახმარებას
გვიწევდა ნიდერლანდული ენის
მცოდნე ფოტოხელოვანი ვატო

- თუ შეიძლება, ქართველ
მკიონხველს ნარმოუდგინეთ
თქვენი თავი, ზოგიერთი საჭი-
რო ცნობა მოგვაწოდეთ ბიოგ-
რატიობან.




- 1952 წელს დავიბადე ჰაა-
გაში, ნიდერლანდებში. მე ხში-
რად მიწევდა გადასვლა სხვა-
დასხვა ქალაქებში თუ ადგი-
ლებში. ვცხოვრობდი ამსტერ-
დამში და შემდეგ ერთ პატარა
სოფელში. როცა ცამეტის გავხ-
დი, ჩემი ოჯახი გადასახლდა
ბრიუსელში. ესაა ჩვენი მეზობე-
ლი ქვეყანა, სხვა კულტურის მა-
ტარებელი. ასეთ ასაკში სხვა
გარემოში, სხვა კულტურაში

ცხოვრების გარკვეული გამოც-
დილება მივიღე. და რაც ჩვეუ-
ლებრივი, ყოველდღიური იყო
ადრე, ის მეგონა ტიპიური ნი-
დერლანდული, ამ დროს აღმოჩი-
ნდა, რომ სხვანაირიც შეიძლება
იყოს. ამის გამო სწავლობ გარე-
მოს აღქმას სხვა კუთხიდან....
მერე ვისწავლე სამხატვრო აკა-
დემიებში - ანტვერპენში და
ბრიუსელში, და ისტორია - ბრი-

უსელში. შემდეგ საბავშვო წიგნების წერა დავიწყე. და ამასთან მე მარტო ვმართავდი წარმოდგენებს... ესაა ჰოლანდიაში მეტად ტრადიციული და მიღებული ფორმა, ერთი მსახიობის თეატრი, როცა ერთი მსახიობი თამაშობს ყველაზე.

- ეს ერთგვარი ჰეპენინგია
თუ ჰეროინმანსი?
- ამას ჩვენში „კაბარეს“ უძა-
ხიან, მაგრამ ეს არანირ კავშირ-
ში არ არის კაბარესთან. ესაა
ტრადიციული, მიღებული ფორ-
მა. როგორ მე დავიწყე საბავშვო



წიგნების წერა, აღმოვაჩინე ძალიან დიდი შესაძლებლობები არსფეროში. როცა შენ ასეთ რაღაცას ირჩევ, თავიდან სხვანაირად გამოიყურება, სხვანაირად ხედავ. „კაპარეს“, ანუ წარმოდგენის გამართვის შემთხვევაში შენ აკვირდები იქ მყოფ საზოგადოებას, მის რეაქციებს. გარდა ამისა, მე დავიწყე ხატვის გამოყენება სხვანაირად, არა ილუსტრაციის სახით.

- ეს ისეთი ნახატია, რომელ
ლიც ერთი შეხედვით ტექსტი
ისგან დამოუკიდებელია
მაგრამ მაინც ტექსტში არის
ჩასმული, არა? აი, მაგალით
თად, ქართულად თარგმნილი
თქვენი წიგნის პირველივე
თავში არსადაა ნახსენები ხო-
ჭოები, მაგრამ ამ თავის ბო-
ლოს ორი ხოჭო მიდის და თა-
ვისთვის მილაპარაკობს.

- დიახ. ესაა ასოციაციებიანი, თუ შეიძლება ასე ითქვას ტექსტისგან განზე ნახტომებიანი ნახატები. დღეისთვის ხომ არსებობს ჭამის გარკვეული ფორმა (მაჩვენებს თავისი წიგნის მეცხრე თავში წარმოდგენილ ნახატებს, ამ დროს ხედავს, რომ ამ თავის ორი გვერდი გაუქრელი და ერთმანეთზე გადაბმულია, გახევას ცდილობს. ვატო დგება, მიღის დადანა მოაქვს ფურცლების გასაჭრელად. ერთობლივი ძალისხმევით და ქარბატონის

იოკეს ერთგვარი საბოლიშო
ლიმილით სრულდება ეს პრო-
ცედურა), მაგრამ ადრე დანა-
ჩანგლის გარეშე ვჭამდით... ესე
იგი, მოვლენას უკან, წარსულში
ვაბრუნებ, რათა მივხვდე, თუ
რატომ ვჭამთ ჩვენ ასეთი ფორ-
მით და როგორ შეიძლება სხვა-
ნაირადაც გვეჭამა... ანუ, ხომ
არსებობს გარკვეული მყარი
იდეები და მე მაინტერესებს,
როგორ შეიძლება მათი გადასხ-
ვაფერება, თუ გნებავთ, შეცვ-
ლა.

- ესე იგი, მყარი შეხედულებების პაზაზე დადიხართ და მერე ატრიალებთ თქვენებურად, იმპროვიზაციას აკეთებთ?

- მე ამას ვუყურებ როგორც
დამწები - რატომ არის ეს ასე
და არა სხვანაირად.
- ალბათ, სწორედ ასე იქმ-

ნება პარადოქსი. ამ სტილში
მუშაობთ. ესე იგი, რასაც მივ-
ხვდი, პარადოქსულია თქვენი
ჩიტინას ამბავი.

- ესაა პარადოქსის მსგავსი
შემოტრიალებები. მაგალითად,
ბუკვალურად აღქმა რაღაც
მოვლენების. ბავშვები მოვლე-
ნებს ხშირად ბუკვალურად
აღქმან.

- ეს ბუკვალური აღქმა კარგად დავიწყებული ძველია
- ძველი საბერძნეთიდან მოდის, ანუ კომედიებს როცა წერთა არისტოფანი, ისიც

ბუკვალურად იგებდა ვთქვათ,
ანდაზებს და მერე ამ ბუკვა-
ლურად გაგებულ ანდაზებზე
აგებდა თავის კომედიებს. ამ-
ნაირი მიღვომა აქვთ ბავშვებს,
აი, ამას იყენებთ და აქედან გა-
მომდინარეობს მთელი თქვენი
ნაწარმოები, ყოველშემთხვევე-
ვაში ის, რაც მე წავიკითხე.
სხვა ნაწარმოებებსაც ასე
ქმნით?

- მე განსხვავებული რაღა-
ცეები მაქვს დაწერილი. რამდე-
ნიმე წიგნი ესეთი კომბინაციით
– ნახატით და ტექსტით. მე სა-
ბავშვო პოეზიაშიც ვმუშაობ და
ასეთივე საფუძველით ვიწყებ
იქაც, როცა, ძირითადად, ამ
ელემენტების შეტანა მიწევს და
თან ისეთი „უბრალო“ რამეები,
როგორიცაა რიტმი და რითმა...
ასევე ვწერ „სადიდო“ პოეზიას
და პროზას. პროზაში არ არის
ნახატები, მაგრამ ხშირად მეუბ-
ნებიან, რომ ძალიან ვიზუალუ-

რი და ისეთია... სახვითი...
- ჩვენი მკითხველისთვის
უკვე ცნობილი ავტორი
ბრძანდებით და თუ რომელიმე
ნაწარმოებს გამოგვიგზავნით,
როგორც ერთ ჩვენებურ კრი-
ტიკოსს უყვარს თქმა, - პუბ-
ლიკაციას ველარაფერი დაუდ-
გება წინ...

- აქ დავტოვე რომანი ინგ-რიდის ბიბლიოთეკაში და შეიძლება ის ითარგმნოს. ეს არის რაოდაც ისეთი, მძიმეს და მსუბუქი.

ბუქის კომპინაციით გაკეთებული. თვითონ პოეზიაც, მძიმეა, რასაც მე ვწერ, რა თქმა უნდა, მაგრამ ამ პოეზიაში ვცდილობ მსუბუქის და მძიმეს დაბირის-პირებას.

- ეს ყველაფერი, რასაც თქვენ ქმნით, პოსტმოდერნის გავლენით იქმნება თუ პოსტმოდერნის გარეშე დგას?

- როცა მე წერა დავიწყე, მაშინ პოსტმოდერნი საერთოდ არ არსებობდა...

- ეს სამოცდაათიან წლებში?

- დია... ხშირად პოსტმოდერნი არის ნასესხები მეტყვიდრება, ნასესხები ტექსტები...

- მაშინ, ვის მემკვიდრედ თუ გზის გამგრძელებლად თვლით თავს?

- მე ჩემს თავს ვხედავ იმ ტრადიციაში, რომელიც ცდილობს იერარქიების გადაბრუნებას. როგორიც მაგალითად არის ალისა, ვინი პული და სხვა რაღაცები. პროზაზე მიჭირს თქმა. რადგნ ის ამოზარდა ამ საბავშვო ლიტერატურიდან. იქიდან არის.

- ყველაზე მეტად რომელი წიგნი გიყვართ? ვიცი, ყველა, მაგრამ მაინც რომელია განსაკუთრებული?

- ხშირად ეს დაკავშირებულია შენს პიროვნულ ცხოვრებასთან, რა მდგომარეობაში ხარ იმ დროს. ეს „იპ!“ მაშინ დაწერ-რე, როცა ძალინ ბევრი დანაკ-

ლისი, დანაკარგი მქონდა პირად ცხოვრებაში. და მე ვიფიქრე, რომ თუ ეს ცხოვრებაში დანაკარგი აჩვენე სხვებსაც, სხვა ფორმით, როცა მათ შეუძლიათ გაიცინონ, ეს დიდი განთავისუფლება იქნებოდა.

- მე მგონი, თქვენ ამ წიგნში საკუთარ თავს იგონებთ - აი, იმ გოგონას ვგულისხმობ, რომელიც ჩიტს ჰეგავს თუ პირიქით, იმ ჩიტს ვგულისხმობ, რომელიც გოგონას ჰეგავს. ისე, სხვათაშორის, თქვენ თავადაც ჰეგავხართ ჩიტს...

- არა, არა... (იცინის).
- რა ვიცი, მე ასე მეჩვენება...

- ალბათ, ამ წიგნში ძალიან მნიშვნელოვანი ის არის, რომ ყველა ის ადამიანი, ვინც ამ ჩიტუნას ხვდება, სწორედ იმას ხედავს ჩიტში, რაც უნდა, რომ დაინახოს. რაც მას აკლია და სჭირდება.

- „იპ!“ თეატრშიც დაიდგა ხომ ნიდერლანდებში? და ოპერაც მზადდება, თუ არ ვცდები?..

- დიახ, „იპ!“ თეატრში დაიდგა, მაგრამ ეს კი არა, ამის მომდევნო წიგნის მიხედვით ოპერას დგამენ გერმანიაში.

- აქ, საქართველოში პირველად ჩამობრძანდით... ამ ქვეყანას არც მაქებარი დაკლება და არც მაძაგებელი. თქვენი კონკრეტული შთაბეჭდილება როგორია?

</

ეს გვერდიდან

„გემი წავიდა
და შენ კი ნაპირზე დარჩი.
შენს გარეშე ჩაიარა დღემ.
სხვამ წაილო მოგონებები აუსრულებელ იმედებზე.
სხვას გაულიმა უცნობმა ქალმა.
და, ბოლოს და ბოლოს, სხვა მოკვდა შენს მაგივრად
და შენ
კიდევ ერთი ცარიელი დღით ამოავსე მარადისობა“.

აგვისტო

■ ■ ■
სიკვდილი მწვანეთვალება ბავშვია,
ჩამოძენილი და უპატრონო,
რომელიც დღენიადაგ კარდაკარ დაეხეტება:
უჩუმრად უვლის გვერდს აყმუვლებულ ძალებს,
უჩუმრად ალებს ჩარაზულ კარებებს,
უჩუმრად უხუჭავს თვალებს მომაკვდავთ;
ხელჩაკიდებული მიჰყავს დამაშვრალნი
სიმშვიდის მაღალ საუფლოში -
მთვარის კარავში.

სიკვდილი მწვანეთვალება ბავშვია,
რომელსაც ვერ გაუგია -
რატომ მოთქვამენ შაოსანი ქალები,
რატომ ოხრავენ კუშტი მამაკაცები:
ის ხომ იმიტომ დაეხეტება კარდაკარ,
რომ სადმე ჰპოვოს ნანატრი სითბო,
სადმე დაასვენოს დაღლილი ფეხები,
ვინმე თმაჭალარა ქალს ჩაუჯდეს კალთაში
და უთხრას: დედა!..
მაგრამ რატომლაც ყველგან:
სახლში, ქუჩაში, საავადმყოფოში,
მინდორში, მთაში, ჰაერში თუ ოკეანეში
ხვდებიან მასზე უფრო დაღლილი ადამიანები.
მას ეცოდება ისინი
და ხელჩაკიდებული მიჰყავს სიმშვიდის მაღალ საუფლოში -
მთვარის კარავში.

მხოლოდ ბავშვის მხრები გაუძლებს ამოდენა ტვირთს;
მხოლოდ ბავშვის სული აიტანს ამდენ წყევლას.

აგვისტო

■ ■ ■
როცა ჩავაქრე პაპიროსი
და სანამ ახალ ღერს მოვუკიდებდი -
მე იმათ შორის -
ვიყავი პარიზს,
გადავხედე ღამეულ სენას

და მის ტალღებში გადატეხილ სანაპიროს და ლამპიონებს,
ნოტრ-დამ-დე-შანზე ჩავიარე მშვიდი ნაბიჯით,
„ლილაში“ მოვსვი ცოტაოდენი უსახელო აპერეტივი,
ეიფელის კოშკზეც ავფოფუდი
და ყველაზე ფეშენებელური ოტელის აპარტამენტებში
ცოლსაც რამდენჯერმე ვუღალატე 18 წლის ბრიჯიტ ბარდოსთან.

იანვარი

■ ■ ■
მთვარე და ნისლი...
და სინანული.

და კიდევ რაღაც -
ბლანტ და შხამიან და აბლაბუდა სივრცეებში
დაბუდებული,
რომელიც ადის, ადის, ადის გულისკენ
და დაცქერის ქალაქს მაღლიდან,
როგორც ბავშვი - ჭიანჭველების უმნეო ბუდეს
და ჯერ არ იცის -
დააბიჯოს ფეხი
თუ არა.
თებერვალი

■ ■ ■
„უხილავი სასწაული“
გორგესი

მე ვდგავარ ქუჩაზე,
რომელიც არ მიდის არსად,
არც არსიდან მოდის.
მე ვდგავარ ღამეში,
რომელიც არასოდეს დაღამებულა,
არც არასოდეს გათენდება.
გარშემო დგანან ბებერი ურჩხულები -
სახლები.
იმათ არა აქვთ არც ფანჯრები, არც შესასვლელი.
მე მესმის სიჩუმე.
მე მესმის სიცარიელე.
მე მესმის ყვავილებისა და ფოთლების სუნი.
ისინი დაჭენენ დიდი ხანია
და ჩაბრუნდნენ უკან, მინაში,
საიდანაც არასოდეს არ ამოზრდილან.
მე ვდგავარ არარსებულ ქუჩაზე.
არარსებულ ღამეში.
მე მეჩვენება, რომ არც მე არ ვარსებობ
და რომ ვესიზმრები ვიღაცას
და რომ იმას უკვე აღვიძებს ფანჯარაში შემოჭრილი დილის სხივები,
ქუჩის ხმაური
და სიკვდილის მიმზიდველი სიცოცხლე.



ეს ჩვენდიდან

სავსე მთვარესავით პირისახიანი კაცი დაინახა, რომელიც ამბობდა, - ყველაფერი კარგად იქნება.

ლორენაც ასე ფიქრობდა. ყოველთვის ასე ფიქრობდა, - ყველაფერი კარგად არის და არგადაც იქნება. ან რატომ უნდა ყოფილყო ცუდად? რა უნდა ყოფილყო ცუდად? ყველაფერი ხომ ისე ლამაზად ბუნდოვანი იყო?

მოკლედ, ლორენას და იმ კაცის აზრები ერთმანეთს დაემთხვა. კაცი მეორე სალამოსაც, ზუსტად იმ დროს, ისევ გამოვიდა, მესამე დღესაც, ერთი კვირის მერეც. წინასაარჩევნო კამპანია თუხთუხებდა და იმიტომ.

გაზაფხული იყო. ლორენას არსება სიყვარულმა მოიცვა. ბრონეულის ყვავილი გაიბნია თმაში და ნეტარებას მიეცა. ნეტარება კი ის იყო, რომ ყოველ სალამოს, როგორც სატრფოს - პატანზე, ისე ელოდა იმ კაცს ტელეეკრანიდან. ჩაიცვამდა რომელიმე ლამაზ ლიფს, გაირჭობდა საფეხელთან ბრონეულის ყვავილს და იჯდა გაღიმებული. ელოდა, ელოდა კაცს, რომელსაც ასე კარგად ესმოდა მისი, რომელმაც მასავით კარგად იცოდა, რომ ყველაფერი კარგად იქნება. კაცის სახე მთვარეს; ბრონეულს, ნათელს და მიმზიდველს.


დილაადრიან, ჯერ ისევ რომ ეძინა ამომრჩევლებად და ამოსარჩევებად დაყოფილ ქალაქს, ლორენა შინიდან გადიოდა, შორიახლოს, დასანგრევად განწირულ ქოხმახებისკენ გასწევდა. ღობებზე გადმოწერილ ბრონეულის ბუჩქებს ახალთახალ, ნამიან ყვავილს შეამტკრევდა...

მერე ცარიელ ქუჩებს გაუყვებოდა. ხან ცეკვასავით თუ ფრენასავით, ფართატივით თუ ფრთხიალივით რომ მოუნდებოდა, ხელებს გზადაგზა გაშლიდა, შემოტრიალდებოდა... ფეხის წვერებზეც აიწევდა და მზეს უცინდა.

მერე, ხალხი მატულობდა ქუჩებში. ლორენა ქალებს უღიმოდა, ბავშვებს ეფერებოდა, კაცებს კი თითქოს ვერც ამჩნევდა. თითქოს, - გამჭვირვალეები იყვნენ.

ზოგჯერ, ეკლესიის წინ დგებოდა ლორენა. შესასვლელთან. სხვებივით გაიშვერდა პეტშს და იღიმებოდა. ხურდას რომ ჩაუგდებდნენ, მივარდებოდა ვინმეს ხელგანვდილს, საჩაროდ ჩაუჩურთავდა მუჭში ფულს და ლამის სირბილით გაეცლებოდა იქაურიბას... თან ზემოთ იყურებოდა. ვერცხლისფრად მოლაპლაპე გუმბათი მოსწონდა.

გულით იმ მთვარესავით შორეულ კაცს დაატარებდა. შეყვარებული იყო, მხოლოდ რაც ჰქონდა, იმით კმაყოფილდებოდა. გაგრძელებას არ ელოდა. ჰყოფნიდა, რაც იყო ის. თან,

**პოვზია****რათი აგალითობი****სინამდვილე**

თითქოს ყველაფერი მითი არი. თითქოს ყველაფერი ზღაპარია. ადამიანები მიდიან და მერე ყველაფერი სხვა ფერია.

იყო და არი დედაჩემი. მორჩა ბავშვობა და მიიღია. გაქრა სიყვარული მე და შენი - სიცარიელეა.

უნდა იშოვნო სამსახური!

ცოლი მოიყვანო შესაფერი.

უნდა დაგემგვანოთ ყველას გასახარად.

მქონდეს ხელფასი და მყავდეს მეზობელი.

წყალში და თითოეულ პანია თეთრ ხომალდს, ნელა რომ მიირწეოდა ხაკისფერ ტალღებზე, ღიმილთან ერთად პატარა, აკვი-ატებულ ფიქრსაც მიაყილებდა. ყველაფერი კარგად იქნება... ყველაფერი კარგად იქნება...

მერე საღამო დგებოდა.

ლორენა სავარძელში ფეხებ-მოკეცილი ჯდებოდა და აბა, რით არ იყო პაემანი? გულისძგერით უციდა სატრფოს.

მაგრამ სატრფო თითქოს ცამ ჩაყილაპა. აღარ მოდიოდა. აღარ ჩანდა. თმაში აალებული ბრონეულის ყვავილი ნალვლიანად ქვრებოდა, იფერფლებოდა და ლორენას სიცოცხლეს ტანჯვა ერეოდა...

ანუ, ცოვოვრება დაინწყო... სევდით და ლოდინით სავსე ცხოვრება.

არ ჩანდა სავსე მთვარესავით პირისახიანი კაცი. აღარ მოდიოდა ლორენასთან. აღარ ეუბნებოდა, ყველაფერი კარგად იქნება.

რაღა თქმა უნდა, სულ იმიტომ, რომ კარგა ხანია ჩათავდა საარჩევნო კამპანია. და არაფერიც არ იყო კარგად. და სულაც, პირიქით, ყველაფერი ისევ ისე, ცუდად იყო. და კაციც დამნაშავესავით გაქრა.

ლორენას არასდროს უტირია უწინ. ახლა კი ტიროდა და ტელევიზორს ზემოდან ხელს უსვამდა, ეფერებოდა და რაღაცას ეხვეწებოდა... და სხეულში მოდინარე ნარევი, რვა თუ ათქ-

ვეყნოვანი სისხლი ხან უცნაურ, ხან აქაურ, ხან იქაურ გრძნობებს უტივტივებდა არუელ გონებაში.

ბრონეულმა დაიყვავილა. მაგრამ მტკვარი ძველებურად დიოდა. ხიდიც ადგილზე იყო და ზოგჯერ უბანში ვინმე ახალი რძალი, ჯერ რომ არაფერი იცოდა ლიფების ქურდის შესახებ, გამოჰქონდა სარეცხს გასაშრობად უშიშრად...

ერთ დღეს ლორენამ აუარება პანია თეთრი ხომალდი გაგზავნა შესავლები, მერე ერთი მუქი ლურჯი ატლასის ლიფეც ჩამოხსნა მეზობელი კორპუსის პირველი სართულიდან და მერე, სავარძელში ფეხმორთხმული მიუჯდა ტელევიზორს.

ის კი, არ მოდიოდა.

მაგრამ გვიან დამით, ყველას, ყველას, მთელ ქალაქს რომ ეძინა, ლორენამ აივნის ლია კარიცხანი დაინახა, როგორ გამოცურდა შავი ღრუბლიდან მთვარე. როგორ შემოიხედა ლორენასთან და შორეული ჩურჩულიც გაიგო: ყველაფერი კარგად იქნება...

ის იყო. ნამდვილად ის იყო. მისი სატრფო!

ლორენაც თავდავინებით მიანყდა აივანს და წინ ხელებგანვდილი მთვარისკენ გაფრინდა...

ვიღაც-ვიღაცებს კი ეგონათ, რომ ლორენა აივნიდან გადახტა... თავებს სინანულით იქნევნენ აქეთ-იქით და ამბობდნენ: „ნნ, ნნ, ნნ... საწყალი...“

სადაც გავიხედე - ყველგან სიკვდილია და მეც ცარიელი თვალები ვარ. ამდენი არასოდეს მიტირია - სიკვდილს ვყვარებივარ.

ცოცხლები რაღაცას ჯახირობენ. მკვდრები სიზმრებიდან მელანდება. არ არის ეს ჩემი ახირება - უბრალოდ სინამდვილე მენატრება.

ქართველებს...

ქართველებს უყვართ სიარული პანაშვიდებზე და არ ამბობენ წარმოსახიანი კაცი.

სადარბაზოსთან საათობით დგანან ისინი და გულმოძგინებით ერთმანეთის ამბებს ისმენის სიმენტოსთან.

კაცები ქალებს წინ უშვებენ მიხავებიანს, სახლში წინასწარ სარკის წინ რომ იხატებიან

და მორიდებით წრეს ურტყამენ თავდახრილები კიბეზე ასვლით და სიმსუქნით გადალლილები

ან განსვენებულს, რომლის სახის მდგომარეობის გადმოცმასაც მიიჩნევენ მოვალეობად.

გაშავებულა! რა მოსვლია? დედა, საწყალი. ამას ქალებში თუ იტყვიან - ღმერთო აცხონე.

მეზობლის ქალებს გოგონები ადგილს უთმობენ და მიცვალებულს რიგ-რიგობით ჭირისუფლობენ.

სამძიმარზე კი ამოსული, თვალის ცეცხლით ჭირისუფლებში ვინმე ნაცნობ სახეს ეძებენ.

წამსვლელს და მომსვლელს, უშეცდომოდ, თითქმის უკლებლივ, ერთმანეთში რომ აღრიცხავენ ჭირისუფლები -

ერთად შეყრიან ავტობუსში, ერთად დასვამენ ჭირის სუფრაზე, შესანდობას მრავლად ასმევენ.

ქართველებს უყვართ მკვდრების ქება გაუთავებლად, სასუფეველი, ნეტარება და უკვდავება

მათთვის იოლად ემეტებათ, ხოლო ცოცხლების
შესახებ აზრის გამოთქმისას ძლიერ მორცხვობენ.

აქ არ არიან პატარები და ორსულები,
მაგრამ ქელეხი გაგრძელდება დაუსრულებლად.

ბოლოს ნელ-ნელა იშლებიან გამაძლარები,
უკან კაცები მიდიან და წინ კი ქალები.

ქართველებს უყვართ თეატრი და ქუბილები,
საქართველოში კლასიკური ჯაზის დღეები.

უყვართ უქლიამ შექსპირი და განსაკუთრებით
ჰამლეტი, ლირი, რიჩარდი და დასაბუთება:

რომ შეიძლოკის დადგმა არის არც თუ იოლი
ისევე, როგორც „ქალი გველის“, „კავკასიურის“...

რაიმე საგნის, მოვლენათა შორის მსგავსების
უყვართ ალნიშვნა ორაზროვნად და შეფასება.

უყვართ როდესაც შეამჩნევენ ახალ შენაძენს,
პირველ დღეს მისვლა თხუთმეტდღიან გამოფენაზე.

სუფრას, რომელიც არც სავსეა, არც უსტუმროა,
უყვარს ბაშმეტი ყანჩელი და რობერტ სტურუა.

საზღვარგარეთში ერთმანეთის გასტუმრება და
ქართველებს უყვართ უყრო მეტად გასტროლებიდან

დაბრუნება და მერე სადმე სტუმრად ვნებიან
ხმით, როცა თავის „აი რალაც“ ამბებს ყვებიან.

უყვართ ცნობილი რეჟისორის გვარის ხსენება:
ჯორჯო სტრელერის, პიტერ ბრუკის, ხშირად ჩვენება

მარკესის ცოდნის უფრო სწორად იმ მარტობის
ასი წელი რომ გრძელდებოდა. გამოყენება

მეტყველებისას - ყველა სიტყვის, რაც კი ოდესმე
გაუგონიათ, წაუკითხავთ, ანდა მოესმათ.

ქართველებს უყვართ ადგილების ამოჩემება;
წყნეთის, კიკეთის, წავკისის და იქ დასვენება,

სანამ ივლისი არ ჩაივლის, არ დასრულდება,
ქართველებს უყვართ ერთმანეთის ყურება.

და მერე, როცა სანატრელი მოვა სეზონი
ზღვის და წყნეთიდან აცილებენ ზღვაზე მეზობელს -

როგორც კინოში ქართველები ერთმანეთს თხოვენ -
იქნებ ითახი დაუკავონ ზღვაზე და ყოველ

შემთხვევისათვის მოლოდინით გადალლილები
ტანისამოსით და ნიგოზით ჩანთებს ტენიან

და რადგან სივრცით მცირედია ეს ადგილები -
ზღვის კურორტებზე ქართველები ვერ ეტევიან.

მაინც მიდიან და არ ცვლიან გეგმებს თავიანთს,
ზამთარს გუდაურს უთმობენ და ზაფხულს კვარიათს.

შუალედებში გატარებულ დროს იხსენებენ,
ვიდრე თავიდან კვლავ ჯგუფ-ჯგუფად დაისვენებენ.

დასრულდა ლამის სიზმარივით ესე წერილი,
რომელსაც არ აქვს ეპილოგი და არც პროლოგი -
ქართველებს უყვართ, როგორც განძი აღმოჩენილი
მთელს მსოფლიოში სამიოდე ქართველოლოგი.

ზაფხულის არდადეგები

ფეხის წვერებზე იწეოდა
და სარეცხს ფენდა
ქალი.

ორდონშიგანას თამაშობენ ბავშვები ეზოში.
- გადადით ჩრდილში! ნოდარიკო, ამოდი მალე!
აიგნებიდან ისმის დედების ხმები.
აუ, დეე, გთხოვ - ნუ მთხოვ!
აუ არრ მინდა, გეხვეწები სახლში! სახლში, რომელშიც ბავშვებს ეგულებათ
ხენდრო, ალუჩა და ალუბალი და კიდევ ნაყინი.
თბილისის ყველა ფანჯარაში ჩანს ტელეანდა
და წუნიკულმორი.
ზაფხულის არდადეგებია -
მუხლების და იდაყვების გადაყვლეფის დრო.
ანა კალანდაძის პოეზიას გავს ამინდი გარეთ.

გალაკტიონს

ვერ ვისწავლე ლექსის წერა. მერე რა.
ვწერ და ვამბობ ვერ ვისწავლე მე ვერა-
ფრით ლექსების - ფრთით ლექსების ფერება.
მერე რა და ერთმანეთში მერევა
მე სიტყვები - სულ სხვა და სხვა ფერებად,
რომ ჩნდებიან და ქრებიან ვნებიან,
როცა ლამით სიზმრებს მეუბნებიან.
ისევ გავლა მე იგივე მინდა გზის -
სიტყვა-სიტყვით ტროპების და სინტაქსის.
მეტაფორის. ჰაბერბოლის. ბნერების
უთქმელის და ხელით მიუკარების.
გალაკტიონ! სონეტით და ტანკებით
დანგრეულით და ხელახლა ნაგებით,
მოვრჩი წერას - არც მეტი არც ნაკლები
თითქოს ნემსის ყუნწში გაძვრა აქლემი.



დათო ჩიხლაძე

ყინულის მოედანი

თამრიკა ხვთისიაშვილს

ეს მოქმედება ხდება ნიუ იორკში, უმაღლესი სტრესების და სიგრძის კოლექციის ქალაქში, სადაც დაფრინავენ მომაკვდინებელი კოლოები და ადამიანები ხტებიან ხიდებიდან.

ჯაია!
მთელი დიდება!
დღეს შრიმატი რადპიკას დღეა. ეს
მოქმედება კი ხდება ერთი კვირით ადრე.
აი, ასე:

გამოვდივარ მეტროდან და ვხედავ თვით-
მფრინავს ცაში, რომელიც ცოტა ხანში
მესვრის ბომბს. ბომბი ვარსკვლავს
(ცის მნათობს) ჰვავს და ნელა ეშვება.
მე გავრბივარ, თავი უკან მაქვს
გადავარდნილი.

ჯაია!
მთელი დიდება!
ვიღებ შხაპს და ვხედავ პატარა
სარკმელში უზარმაზარ წითლად
ანთეპულ დირიჟაბლს. არასდროს
ყოფილა ასე ახლოს! ხომ არ არის ეს
პარანოია?

კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ წერა
ალარ შემიძლია.
ამიტომ სჯობს ისევ სიზმრების
ალწერას მივმართო, დანარჩენი კი
მერე.

კებით აეროპორტისკენ დილით. იწყება
წვიმა.
მუყაოს ჭიქებს ძლიერ ვიკავებთ, რომ ყავა
არ გადაგვესხას. როგორ ჰვავს სამეგრელოს
ეს ნისლიანი ხეები, სველი ფოთლები.

ჰვავს ხომ?
კი, ძალიან.

ო, რა საშინელ ქვეყანაში დავიბადე.

როდის?

გაზაფხულზე.

(აპრილი ლიმილში).

კარგი, დაგიცდი. ისევ ისეთი ხარ.
არ შევიცვალუ?
არ ვიცი.

(ჩილელმა ხორხემ მასესხა 10 დოლარი. შენი სამშობლო მართლა ასეთი საშინელია?)

ფანჯრიდან ვხედავ თვითმფრინავს,
რომელიც ცაში გაფრინდა.

აქ კი, ქალაქის შუაგულში არის პარკი,
პარკში – ყინულის მოედანი.
ფოტო შავ/თეთრია, და მოციგურავე ადამიანები
პატარა კონტურებად დარჩენილან.

14 აგვისტო, 2001

III სონეტი

მანანა ბოსტოლანაშვილს


როგორც ნახატი, მოუთმენელი ყველა ფერებით,
ირეკლავს სხივებს მოულოდნელი კუთხეებიდან,
და ყოველ დილით რომ გიხარია დღის გათენება
და კიდევ რაღაც იდუმალთან გამოთხოვება,

ისე შემოდის, მოულოდნელად, შენთან შეხვედრა,
შემოაქს ბორდო ხელოვნური, ტყეები ნუშის,
მწვანე მდელოებს აქ არ სჭირდებათ ქართან შეხება,
აქ თვითონ იცვლის სივრცეს და ადგილს წვიმაც პირქუში

(თითქოს ვიღაც ყვავილებს რგავდეს
ადამიანთა უკიდეგანო დასახლებაში,
რომ ეს ცხოვრება ერთხელ მაინც რაღაცას ჰვავდეს)
ვინც ამ ყვავილებს, თოვლს და სიზმრებს ცის იქეთ მიჰვრის...

1998

გარეპელია E16 გვირდზე



ნაზირობისა...

დავით ჯავახიშვილი

სულ ორიოდ გვერდს მოვან-
დომებ იმის აღწერას, თუ რო-
გორ დავიწყე და როგორ მივა-
ტოვე ბოლოს ნადირობა. მერწ-
მუნეთ, საინტერესო ამბავია;
ხოლო თვით ნადირობისას ნანა-
ხი თუ გაგონილი, ხშირად „მო-
ნადირულ ტყუილებად“ და ტრა-
ბახად უსამართლოდ მონათლუ-
ლი ამბები, მეტადრე - კურიო-
ზები, ხომ თავისთავად სახალი-
სო საკითხავია; სხვა პრეტენზია
კი ამ ჩემს ლიტერატურულ ნა-
(კოდვილარს არ(კ გააჩინია.

ჩემი დიდი პაპა - დედაჩემის დედის მამა - ნიკოლოზის (კოლა) ჯამბაკურ-ორბელიანი ნადირობით უზომოდ გატაცებული კაცი ყოფილა, რასაც ჩვენს ოჯახში ლეგენდებად შემორჩენილ ზეპირ გადმოცემათა გარდა, მონმობს აგრეთვე ძველი, მაღალხარისხოვანი ფოტოები, რომლებიც დღესაც ამშვენებენ თითქმის ორასწლოვანი ჩვენი ბინის დაბზარულ კედლებს. ეს ის კოლა ორბელიანია, რომელიც ნიკობურს ჰყავს მოხსენიებული თავის მემუარულ წიგნში - „ბურებთან“, და რომელიც 80 წლის ასაკში, ნადირობისას, ცხენზე მჯდომი, გულით გარდაცვლილა. მასთან ერთად ნადირობდა აგრეთვე მისი ვაჟი, ანუ ბებიაჩემის ძმა - ალექსანდრე ორბელიანი - პაპა საშა, რომელსაც მე მოვესწარი, თანაც ისე, რომ ჯერ კიდევ „ფორმაში“ იყო, მიუხედავად ხანდაზმულობისა; დღესაც ცოცხლად მახსოვს მისი მონადირებული ხოხების მომწაროცხარე გემოცა და კბილზე უცაბედად მოხვედრილი საფანტის ეშიც კერძის ჭამისას. მის შედგომ, ჩემამდე, ჩვენს ოჯახში, მიუხედავად ბიჭების სიმრავლისა, თოფი ხელში არავის აულია; და აი, ერთ მშვენიერ დღეს (მართლა მშვენიერ, მარტო სიტყვისთვის კი არა!), ყველასათვის მოულოდნელად, მათ შორის - თვით ჩემთვისაც, უცებ მონადირე გავხდი; ეტყობა, „მონადირულმა“ გენებმა მაინც თავისი ქნა და თავი ჩემში იჩინა. ეს შედეგნაირად მოხდა:

უნივერსიტეტის დამთავრებისას დასთანავე მუშაობა დავინწყენავთობის გეოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და წელიწადში ხუთ-ექვს თვეს ველზე ვატარებდი, ბუნებაში. გეოლოგებს შორის ნადირობით ბევრი იყვნენ გატაცებული, მაგრამ მათგან ყველაზე არაორდინალური პიროვნება - ალბერტ უნტერზეგერ-ხახანაშვილი, ასე ვთქვათ, პირადად მე მერგო: ჩვენ ერთ გეოლოგიურ პარტიაში მოვხვდით, რის გამოც მე ბედის დიდად მაღლიერი ვარ. ამ პიროვნებაში შერწყმული გერმანული ცივი, ნათელი გონება და ქართული ნიჭიერება თავისი თანმდევი სიზარმაცით, მეტად საინტერესო, თავისებურ ნაზავს ქმნიდა, საურთიერთობოდ არცთუ მაინცდამაინც ხელსაყრელს - ესეც უნდა ითქვას. მიუხედავად ამისა, მე მას კარგად გევეწყე და ნადირობაც სწორედ მან დამანწყებინა, ანუ „მომწამლა“, და როგორც მოგ-



ვიანებით მივხვდი - სავსებით
შეგნებულად. იგი საბჭოთა კავ-
შირის არაერთგზის ჩემპიონი
გახლდათ სასტენდო სროლაში,
ცხადია, „სპორტის ოსტატის“
წოდებასაც ფლობდა და რომ
დღესაც შესანიშნავი, ნამდვილი
მონადირეა, ამაში ალბათ გასაკ-
ვირი არაფერია.

კიდევ „ფორმაში“ იყო, მიუხედავად ხანდაზმულობისა; დღესაც ცოცხლად მახსოვს მისი მონადირებული ხობების მომწაროცხარე გემოცა და კბილზე უცაბედად მოხვედრილი საფანტის ეშჩიც კერძის ჭამისას. მის შემდგომ, ჩემამდე, ჩვენს ოჯახში, მიუხედავად ბიჭების სიმრავლისა, თოფი ხელში არავის აუღია; და აი, ერთ მშვენიერ დღეს (მართლა მშვენიერ, მარტო სიტყვის-თვის კი არა!), ყველასათვის მოულოდნელად, მათ შორის - თვით ჩემთვისაც, უცებ მონადირე გავხდი; ეტყობა, „მონადირულმა“ გენებმა მაინც თავისი ქნა და თავი ჩემში იჩინა. ეს შემდეგნაირად მოხდა:

იმ წელს არაგვის ხეობაში ვმუშაობდით, ბაზა ანანურში გვქონდა. ერთხელაც, მოსკოვში მორიგ საკავშირო შეჯიბრზე წასულმა ალბერტმა თავისი სანალირო თოფი და ტყვია-წამალი მე ჩამაბარა, რისი ეშჩითაც, საღამოობით, სამუშაოდან დაბრუნების მერე, მხარზე თოფგადაკიდებულმა ტყე-ტყე და ახოებში ხეტიალს მივყე ხელი; შაშვებს და ჩხიკვებს არ ვესროდი (გურული ხომ არ ვარ?!), სხვა კი არაფერი მხვდებოდა და რაკი მუდამ ხელცარიელი ვპრუნდებოდი, მთელი სოფელი დამცინოდა; ამას მე არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ ურთხოო რატომოა? მაინც აავ-

უნივერსიტეტის დამთავრებისათვის დამთავრებისთანავე მუშაობა დავიწყე ნავთობის გეოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და წელიწადში ხუთ-ექვს თვეს ველზე ვატარებდი, ბუნებაში. გეოლოგებს შორის ნადირობით ბევრი იყვნენ ვატაცებულნი, მაგრამ მათგან ყველაზე არა-ორდინალური პიროვნება - ალბერტ უნტერზეგერ-ხახანაშვილი, ასე ვთქვათ, პირადად მე მერგო: ჩვენ ერთ გეოლოგიურ პარტიაში მოვხვდით, რის გამოც მე ბედის დიდად მადლიერი ვარ. ამ პიროვნებაში შერწყმული გერმანული ცივი, ნათელი გონება და ქართული ნიჭიერება თავისი თანმდევი სიზარმაცით, მეტად საინტერესო, თავისებურ ნაზავს ქმნიდა, საურთიერთობოდ არცთუ მაინცდამაინც ხელსაყრელს - ესეც უნდა ითქვას. მიუხედავად ამისა, მე მას კარგად გევეწყე და ნადირობაც სწორედ მან დამანყებინა, ანუ „მომწამლა“, და როგორც მოგ- ებოსულ იაფისძაც საინც გავლიზიანდი და, თვითონვე გამიკვირდა, ისე ჯიბრიანად დავიქადნე, აი ნახეთ, დღეს თუ კურდღელი არ მოვკლა-მეთქი; და, ნარმოიდგინეთ, ის საწყალი, მართლა არ შემომაკვდა!؟ უკვე მთვარიანი ლამე იყო, რაღაც ფარუნი შემომესმა ტყისპირას, გავირინდე, ვერ დამინახა, ახოში საბალახოდ გამოსული პირდაპირ ჩემკენ წამოცუნცულდა და... რა ვქნა, გეფიცებით, ჩემს ადგილას ვინც უნდა ყოფილიყო, სროლისგან თავს ვერავინ შეიკავებდა. ვეებერთელა კურდღელი აღმოჩნდა, დიდხარს იფართხალა საბრალომ, ვიდრე სულს დალევდა და ძალიან, ძალიან შემეცოდა, ერთხანს ხელიც მერვომკიდე, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ და სამარცხევინოდ, მონადირული ჟინი თუ აზარტი - ადამიანის ეს ატავისტური ინსტიქტი - ჩემში ყოველგვარ სიბრალულზე ბევრად ძლიერი აღმოჩნდა; ის დღე იყო და ის დღე, თითომის ოკუდახუთი წელი, შე-

იძლება ითქვას, თოფი ხელიდან
არ გამიშვია; მთელი ამიერ და
იმიერ-კავკასია უფრო თოფით
ხელში მაქვს შემოვლილი, ვიდრე
გრძელტარიანი გეოლოგიური
ჩაქუჩითა და უცნაური გეოლო-
გიური კომპასით, რომელზეც
აღმოსავლეთ-დასავლეთის აღმ-
ნიშვნელი ასობი ურთიერთშე-

ნაცვლებულია, თუ რატომ, ეს გრძლად ასახსნელი და აქ სრულიად უადგილო, სპეციფიკური ამბავია. ბევრად ნაკლები არც ამ კომპასიან-ჩაქუჩიანა მიხეტიალია მთის წყალუხვ ხეობებსა თუ ბარის გამშრალ, უწყლო ღრანტებში. და აი, ერთ დღეს კი, ისევე, როგორც დავიწყე, უცემე მივატოვე ნადირობა: უკვე გამზადებული ზურგჩანთა ამოვანგრიე, თოვი გაუხსნელად საკუჭნაოში ჩამოვკიდე და აგერ თხუთმეტი წელია, ახლოსაც ალარ გავკარებივარ. აი, ამის ახსნას, თუ რატომ მოხდა ასე, სულ ერთ წინადადებაში ჩავტევ: სიბრალულმა საბოლოოდ სძლია ცხოველურ ინსტიქტებს, ანუ ერთხელ და სამუდამოდ რევანში აიღო. მაგრამ ყოველივე ამას, ცხადია, უკვალოდ არ ჩაუვლია ჩემთვის და უარყოფითზე მეტად მაინც უფრო დადებითად იმოქმედა; დასანახად ვერ ვიტან ნადირ-ფრინველთა მტვრით გატენილ მახინჯ ფიტულებს; მათ ნაცვლად მე დამრჩა უამრავი გამოსამართებელ წარმოადგინდები.

ტკიბილი ძოგოხება; ხადირობას-
თან მიმართებაში ისინი უფრო
ხშირად ირიბნი და თანმხლები
არიან; ზოგი მათგანი მეტისმე-
ტად პირადულია და მხოლოდ
ჩემთვისაა საინტერესო, ზოგმა
კი იქნებ ჩემთან ერთად არც
სხვა დატოვოს გულგრილი და
იმედგაცრუებული; ღმერთმა
ქნას! მე კი ჩემის მხრივ არაფერს
დავიშურებ საამისოდ; ხოლო
მკითხველს ყურადღებისა და
მოთმინებისათვის წინასწარვე
მადლობას ვწირავ.ც
ჰო, კიდევ ერთი რამის თქმა
მავინდებოდა: ყველა ეს ამბავი
საბჭოთა ეპოქის დროინდელია,
ისე, რომ მათ უკვე ისტორიული

ფასი ედება; ეს ისე, სხვათა შორის და ხუმრობით, ოღონდ - ნახევრად.

„ნითელქადა“

მეორე მსოფლიო ომგამოვლილი, გენერალ ლესელიძის არ-მიაში ბრეზნევთან ერთად ნაომარი, ბერლინის აღების მონაწილე პოლკოვნიკი ალექსი გრიგოლაშვილი ჩვენს ინსტიტუტში მუშაობდა დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. კარგი ხასიათის კაცი იყო, ჩუმი, წყნარი და სამართლიანი; ყველას გვიყვარდა და, საბჭოთა სივრცეში წესად მიღებული იდიოტურ-ფამილარული სუბორდინაციის დაუნერელ წესსაყოლილი, ყველანი უბრალოდ პარმენოვიჩს ვეძახდით (დღეს ბევრმა ახალგაზრდამ, საბედნიეროდ, აღარც კი იცის, რომ ამავე წესის თანახმად, თავის დროზე თვით ლენინსაც ილიჩი ერქვა).

ყოველი 9 მაისის, ანუ ფაშიზმზე გამარჯვების თარიღის წინა დღეს პარმენოვიჩი სამხედრო ფორმაში გამოწყობილი და უამრავი ორდენ-მედლით დახუნდლული გამოგვეცხადებოდა ხოლმე ინსტიტუტში და საზეიმო მილოცვებს თვითიალური სერიოზულობით იღებდა, ზეიმის ბოლოს კი, უმალვე, კვლავ ჩვეულებრივ, მუდამ მოლიმარ პარმენიაზაოჩათ იძალოდა

ინსტიტუტის დირექტორი
გახლდათ პროფესორი დავით
ბულეიშვილი, ჩინებული გეო-
ლოგი და, თავისი მოადგილის
მსგავსად, აგრეთვე ხავერდოვა-
ნი ხასიათის ადამიანი, რომ იტყ-
ვიან - დიდთან დიდი და პატა-
რასთან პატარა.

აი, ეს ორი კაი კაცი და კიდევ
შესავალში უკვე მოხსენიებული
ალბერტ უნტერზეგერი შეადგენ-
დნენ ინსტიტუტის მონადირეთა
და მეთევზეთა საზოგადოების
ბირთვს, რომელშიც მეც მიმიღეს
და, მიმიღეს კი არა, ლამის მე-
ოთხე კაცადაც „დავჯექი“. ძირი-
თადად ჩვენ ოთხნი დავდიოდით

ერთად სანადიროდ; არ ვაცდენ-
დით არც ერთი სეზონის გახსნას;
ვნადირობდით ყველა მიღებული
წესისა და რიგის დაცვით, ლი-
ცენზიებით და ა.შ., მაგრამ ველზე
ყოფნისას კი, უნდა ვალიარო, ალ-
ბერტი და მე ზოგჯერ ოდნავ მა-
ინც წავიძრაკონიერებდით; ეს მა-
შინ, როცა სული წაგვძლევდა ან,
რა დასამალია და, უბრალოდ,
მოგვშივდებოდა ხოლმე, არც
უამისობა იყო. მონადირული სინ-
დისის ქენჯნის საპასუხოდ თავს
იმით ვიმართლებდით, რომ თი-
თო-ოროლა კაპის ულიცენზი-
ოდ მონადირება და ან ხუთიოდე
მწყრის მოკლვა სეზონით დაუდ-
